



თბილისი

24 ივნისი 2019 წ.

ბრძანება № 75-19

საკონკურსო კომისიის შექმნის შესახებ

უნივერსიტეტის დებულების მე-6 მუხლის, 6.10.6 ქვეპუნქტით რექტორისათვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში (დებულება განახლებული რედაქციით დამტკიცებული უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ, 2016 წლის 23 დეკემბრის №03-16 ოქმის დანართი №1), უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის კვალიფიციური კადრებით წარმართვის უზრუნველსაყოფად 2019 წლის 15 მაისის, რექტორის №64-19 ბრძანების „აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ“ შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტში, აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული ღია კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად, შეიქმნას დროებითი საკონკურსო კომისია შემდეგი შემადგენლობით:
 - 1.1. დიმიტრი გეგენავა - კომისიის თავმჯდომარე;
 - 1.2. ნათია შეყილაძე - კომისიის წევრი;
 - 1.3. ირაკლი ჯავახიშვილი - კომისიის წევრი;
 - 1.4. ირმა წულაია - კომისიის წევრი;
 - 1.5. ციციხო ხითარიშვილი - კომისიის მდივანი.
2. კომისიამ, აკადემიური პერსონალის შერჩევისას და ქულებით შეფასებისას იხელმძღვანელოს ამ ბრძანების დანართებით (№1, №2), კონკურსის გამოცხადების შესახებ ბრძანებით და უნივერსიტეტის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის ჩატარების დებულებით განსაზღვრული კრიტერიუმებით.
3. კომისიის უფლებამოსილების ვადა განისაზღვროს კონკურსის ჩატარების ვადით.
4. დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას ამ ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის გაცნობა და ბრძანების უნივერსიტეტის საინფორმაციო დაფაზე განთავსება.
5. დაევალოს საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მარკეტინგის სამსახურს ბრძანების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე (www.sabauni.edu.ge) განთავსება.
6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი, პროფესორი



დავით ვარდიძე

აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად ღია კონკურსში მონაწილე კანდიდატთა შეფასების ფორმა

კომისიის თავმჯდომარე/წევრი/მდივანი: _____

№	კანდიდატის სახელი, გვარი	აკადემიური თანამდებობა, რომლის დასაკავებლადაც კანდიდატს შეტანილი აქვს განცხადება	კანდიდატთა შეფასების კრიტერიუმები								
			სამეცნიერო/კვლევითი უნივერსიტეტის (გარდა კანონმდ-ით განსაზღვრულისა)	სამეცნიერო ნაშრომები	სილაბუსი	პროფესიული განვითარება	სამეცნიერო სტიპენდიები და გრანტები	კონფერენციებში/სემინარებში მონაწილეობა	უცხო ენის ცოდნა	საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ფლობა	ჯამი
			20	20	15	10	10	10	10	5	ქულა
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12
1											
2											
3											

კომისიის თავმჯდომარის/წევრის/მდივნის ხელმოწერა: _____

თარიღი: _____

აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად ღია კონკურსში მონაწილე კანდიდატთა შეფასების შემაჯამებელი ფორმა

კანდიდატის სახელი, გვარი: _____

(_____აკადემიური თანამდებობა, _____ მიმართულება)

№	კომისიის წევრის სახელი, გვარი	კომისია	კანდიდატთა შეფასების კრიტერიუმები								
			სამეცნიერო/პედაგოგიური გამოცდილება (გარდა კანონმდებით გაწესებული ფუნქციონირებისა)	სამეცნიერო ნაშრომები	სილაბუსი	პროფესიული განვითარება	სამეცნიერო სტიპენდიები და გრანტები	კონფერენციებში/სემინარებში მონაწილეობა	უცხო ენის ცოდნა	საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ფლობა	ჯამი
			20	20	15	10	10	10	10	5	ქულა
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12
1											
2											
3											
4											
5											

კომისიის თავმჯდომარე:

კომისიის წევრები:

კომისიის მდივანი:

თარიღი: _____

შენიშვნა:

- კანდიდატის საბოლოო ქულის გამოყვანა ხდება კომისიის წევრის მიერ თითოეული კანდიდატისათვის თითოეულ კრიტერიუმში მინიჭებული ქულების საშუალო არითმეტიკული ჯამის სახით.